

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

**მხატვრული აზროვნების რემითოლოგიზაციისათვის:
მიტი, არქეტიპი და კოლექტიური არაცნობიერი**

ნანული კაკაურიძე

nanuli.kakauridze@atsu.edu.ge

ირაკლი ცხვედიანი

irakli.tskhvediani1@atsu.edu.ge

ლია ნოზაძე

lia.nozadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

სტატიის მიზანია, გააანალიზოს მხატვრული აზროვნების რემითოლოგიზაციის კვლევასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები; შეისწავლოს ტერმინ „მიტის“ დეფინიციები ლიტერატურულ კრიტიკაში და განსაზღვროს მიტის, არქეტიპისა და კოლექტიური არაცნობიერის რთული, კომპლექსური ურთიერთმიმართების სპეციფიკა.

საკვანძო სიტყვები: დემითოლოგიზაცია, რემითოლოგიზაცია, მოდერნისტული მითოპოეტიკა, არქეტიპი, კოლექტიური არაცნობიერი.

ნებისმიერ მკვლევარს, რომელიც სწავლობს მითოსის მხატვრულ ფუნქციებს მე-20 საუკუნის ლიტერატურაში, კონკრეტული მხატვრული ტექსტ/ებ/ის გაანალიზებამდე გარდაუვალად მოუწევს გარკვეული თეორიული საკითხების წინასწარ განალიზება. როგორც აღნიშნავენ, XX საუკუნეში მიტისა და ლიტერატურის მჭიდრო ურთიერთმიმართების ზოგადთეორიული ასპექტის განხილვა-გათვალისწინება აუცილებელია მოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში მითოსის ფუნქციების კვლევისა და დადგენისათვის (კაკაურიძე 2017:143). ცნება „ლიტერატურული მითოლოგიზმის“ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს მიტის დანიშნულება-გამოყენება ლიტერატურულ ნაწარმოებში (Лотман 1991: 64).

კვლევის ამოსავალი წერტილის შემუშავების აუცილებლობაზე მიაწინებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიტის შესახებ არსებობს აურაცხელი სამეცნიერო გამოკვლევა ჰუმანიტარული მეცნიერებების ლამის ყველა დარგში. თვით ტერმინი „მიტიც“ იმდენად ხშირად გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ მისი სემანტიკური ველი უკიდურესად გაფართოვდა. საკმარისია გავიხსენოთ მირჩა ელიადეს (Eliade 1964; Eliade

1977), პოლ რიკერის (Ricoeur 1967; Ricoeur & eary: 1978; Ricoeur 1974), ერნსტ კასირერისა (Cassirer 1975) და ნორთროპ ფრაის (Frye 1957) შრომები, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რაოდენ წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ ბუნდოვანია „მითის“ გაგება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგების მსგავსად, ლიტერატურათმცოდნეობაში ხშირად თვითნებურად გამოიყენება ტერმინი „მითი“, რაც მისი შინაარსის გაუმართლებელ გაფართოებას იწვევს. მართებულად შენიშნავს თემურ კობახიძე: „ჰუმანიტარული ცოდნის სხვა დარგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობაში მითოსთან დაკავშირებით უამრავი ავტორის მიერ ათასგზის გამოთქმულმა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებმა კურიოზული შედეგი გამოიღო: ერთადერთი, რაც დღესდღეობით სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას ლიტერატურაში მითოსის არსებობის შესახებ ის არის, რომ ლიტერატურაში მითოსი ნამდვილად არსებობს. ასე რომ, გლობალური, ზოგადკულტურული თვალსაზრისით კი არა, უკვე „ვიწრო“ ლიტერატურული თვალსაზრისითაც, მითოსი მეტად რთულ და არაერთნიშნად მოვლენას წარმოადგენს“ (კობახიძე 2015: 169-170).

ფაქტობრივად, ლიტერატურულ კრიტიკაში „მითი“ ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებს აღნიშნავს და გამოიყენება არა მხოლოდ როგორც მრავალმნიშვნელოვანი, არამედ ასევე განუსაზღვრელი ცნება, რაზეც ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ სამართლიანად მიუთითებდა ამერიკელი მკვლევარი უ. დაგლასი, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლიტერატურულ კრიტიკაში ტერმინ „მითი“ იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც აქვს მკვლევარი, რომელიც მას იყენებს. ამდენად, დაგლასის აზრით, „მითი“ იქცა უფრო პოლემიკურ, ვიდრე ანალიტიკურ ტერმინად (Douglass 1953: 232-242). „თუ ძველმოდური დეკორატიული-მითოლოგიური ალუზიის გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია“, - აღნიშნავს მკვლევარი, „ვიტყოდი, რომ ეს სიტყვა უფრო პროტევესულია, მისი ბედი კი პროკრუსტული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერმინი „მითოსი“ პროტევესის მსგავსად სხვადასხვა სახეს იღებს და სხვადასხვა თეორიულ ნაშრომში ისე იცვლის ფორმას, როგორც პროკრუსტეს სარეცელზე“ (Douglass 1966: 119) ტერმინ „მითისა“ და მისი დერივატივების („მითოსი“, „მითოლოგია“, „მითოლოგიური“, „მითოსური“, „მითოლოგემა“ და სხვ.) შესახებ ლიტერატურულ კრიტიკაში არსებული კონცეფციების კრიტიკული ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე ანალოგიურ დასკვნამდე მიდის ჯონ უაიტიც (White 1971).

ზოგიერთი მეცნიერი იკვლევს, თუ რა ფორმით არსებობს ესა თუ ის კონკრეტული მითი ლიტერატურაში. რიჩარდ ჩეიზი ლიტერატურაში

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

მითების გამოყენების ანალიზისას იყენებს ტერმინ „მიტოს“ („Mythos“), რითაც იგი გულისხმობს, რომ ეს მითები არქაული მითების იდენტურია: ისინი შემორჩნენ როგორც მითები (Chase 1949). ამ ტიპის შრომებში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, შეიძლება თუ არა ნაწარმოები შევრაცხოთ „მიტოსურად“, თუ მას გარეგნულად მითოლოგიასთან არანაირი კავშირი არა აქვს? კლავი სტეპლზ ლუისის მიხედვით, „გარკვეულ ამბებს, რომლებიც არ არიან მითები ანთროპოლოგიური გაგებით და რომლებიც ადამიანებმა განვითარებული ცივილიზაციის ხანაში შექმნეს, გააჩნიათ ის, რასაც შეგვიძლია „მიტოსური ხასიათი/თვისება“ ვუწოდოთ („mythical quality“). ასეთია, მაგალითად, ისეთი ნაწარმოებების სიუჟეტები, როგორიცაა დოქტორ ჯეკილი და მისტერ ჰაიდი, უელსის კარი კედელში თუ კაფკას კოშკი“ (Lewis 1961: 42).

ობიექტურად ისედაც რთულ საკითხს კიდევ უფრო ართულებს ტერმინოლოგიური აღრევა. საქმე იმდენად ის კი არ არის, რომ ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მითი“, „მიტოსი“, „მიტოლოგია“, „მიტოსური“ და ა. შ., აღნიშნავენ „ბუნდოვან შინაარს“ („ill-defined “area of meaning”), როგორც ამას რენე უელეკი და ოსტინ უორენი მიიჩნევენ (Warren & Welleck 1949: 190-219), არამედ მათი განსხვავებული კონოტაციები დიდწილად დამოკიდებულია მასზე, ვინც მათ იყენებს. ზოგჯერ სიტყვის შინაარსის ასეთი ელასტიურობა შესაძლებელია კარგიც იყოს, მაგრამ „მითის“ შემთხვევაში, რომელსაც სხვადასხვა კონტექსტში უამრავ სხვადასხვა ასოციაციას აღძრავს, ეს თვისება მკვლევრისათვის დიდი თავსატეხია. ამ სირთულის საილუსტრაციოდ კრიტიკულად განვიხილოთ ლიტერატურაში მითის გამოყენებასთან დაკავშირებული ტერმინებისა და ცნებების - „მითის“, „არქეტიპისა“ და „კოლექტიური არაცნობიერის“ - სხვადასხვა დეფინიცია. ამ ტერმინთა წრეში შედის ზოგიერთი ისეთი სიტყვაც, რომელსაც ზუსტი ინგლისური ექვივალენტი არ გააჩნია, როგორიცაა, მაგალითად, ბერძნული *mythos*, ან გერმანული „Mythe“ და „Mythologem“. ამგვარი ექსკურსი ტერმინ „მითის“ „საერთაშორისო სემანტიკაში“ აუცილებელია იმის საილუსტრაციოდ, რომ ამ ტიპის ტერმინების ბუნდოვანმა და თვითნებურმა გამოყენებამ შეიძლება „მიტოსური“ რომანის არასწორ ინტერპრეტაციამდე მიგვიყვანოს. ცხადია, ყურადღებას გავამახვილებთ ამ ტერმინების თანამედროვე მნიშვნელობებზე, ვინაიდან მათი ეტიმოლოგიის ანალიზი ნაკლებად რელევანტურია იმ როლის განსაზღვრისათვის, რომელსაც ისინი ასრულებენ თანამედროვე კრიტიკაში.

მითოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი თანამედროვე რომანის გაგების თვალსაზრისით, თუმცა ჩვენ არ ვიზიარებთ მითოკრიტიკის/რიტუალურ-მითოლოგიური სკოლის მიდგომას,

რომელიც მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას მხოლოდ არქეტიპული მოდელების ძიებით შემოიფარგლება (მოდ ბოდკინი (Bodkin 1968), ჯოზეფ კემპბელი (Campbell 1994), ნორტროპ ფრაი (Frye 1963) და სხვ.). ნორტროპ ფრაის მიხედვით, მითოკრიტიკამ პროზაული ნაწარმოების თემისა თუ სტრუქტურის ანალიზისას უნდა მოახდინოს ნაწარმოების იმ ასპექტის იზოლირება, რომელიც კონვენციურია და საერთოა ამ კატეგორიის ყველა ნაწარმოებისათვის (Frye 1963: 34). ფრაის გარდა ამ მეთოდს მიმართავენ ჯოზეფ ბლოტნერი (Blotner 1956: 547-562) და ონორ მეთიუსი (Matthews 1968). ამ მიდგომას საკმაოდ მკაცრი კრიტიკა შეხვდა.¹ კლერ როზენფელდის ნაშრომის (Rosenfield 1967) რეცენზიაში ტონი ტენერი მიუთითებს ამ მეთოდის მთავარ ნაკლზე: გარკვეული რუდიმენტული ფორმების ძიებაში, რომლებიც იმდენად ზოგადია, რომ უკიდურესად ჰეტეროგენული მასალა შეუძლია მოიცვას, იკარგება რომანის დეტალების უნიკალურობა (Tanner 1970: 407). ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ეს მეთოდი, რომელიც საკმაოდ წარმატებით გამოიყენება წარმოსახვის ფსიქოლოგიის, ავტორის არაცნობიერი ლტოლვებისა თუ მხატვრულ ქმნილებაში მითის როგორც არაცნობიერი ფსიქოლოგიური მონაცემის კვლევისას, საშუალებას არ იძლევა განვსაზღვროთ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება და სადემარკაციო ხაზი გავავლოთ „მითოსურ“ და „არამითოსურ“ ნაწარმოებებს შორის.

მართებულად მიუთითებენ, რომ პრიმიტიული რიტუალი, არქაული, პირველყოფილი კულტურული მოდელი გვხვდება ყველა ლიტერატურულ ქმნილებაში, მათ შორის იმ მწერალთა ნაწარმოებებშიც კი, რომელთა შემოქმედება უპირისპირდება მოდერნისტების მითოსური ექსპერიმენტის არსს, რაც მითის ცნობიერ, შერჩევით გამოყენებას გულისხმობს (Kobakhidze 1998: 19). ასე რომ, ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები შეიცავს მდიდარი არაცნობიერი კონოტაციის სახეებს: ფსიქიკის არაცნობიერი, პირველყოფილი მითოსური ბნელი წიაღიდან მომდინარე საწყისი, არაცნობიერი შემოქმედებითი იმპულსი დიდ როლს თამაშობს მხატვრულ წარმოსახვაში, მაგრამ არაცნობიერი მითოსური ელემენტების შემცველი ყველა ნაწარმოები არ არის „მითოსური“ - „მითოსურად“ შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ ის მხატვრული ქმნილებანი, რომლებიც მარტოოდენ „არაცნობიერ მითოსურ საწყისს“ თუ არქაულ მოდელებს კი არ შეიცავს, არამედ რომლებშიც მითი ცნობიერადაა გამოყენებული როგორც ნაწარმოების პოეტიკის ელემენტი.

რენე უელეკი, რომელიც ლიტერატურულ კრიტიკაში შემუშავებული

¹ ერიკ უილიამ ჰერდს საერთოდ ეჭვი შეაქვს მითოკრიტიკის ცალკე სკოლად გამოყოფის მიზანშეწონილობაში (იხ. Herd, E. W. "Myth Criticism: Limitations and Possibilities". *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 2, No. 3, (Spring 1969): 69.

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

ექვსი ძირითადი მიდგომიდან მითოკრიტიკას ერთ-ერთად მიიჩნევენ, მწვავედ აკრიტიკებს ამ სკოლას იმ მოტივით, რომ მისი წარმომადგენლები ცდილობენ პირველყოფილი მითები მთელს ლიტერატურაში აღმოაჩინონ (Wellek 1963). ფრაი თავის თეორიულ მემკვიდრეობას თვითონვე უწოდებდა ერთგვარ „ლიტერატურულ ანთროპოლოგიას“ (Frye 1963: 12), ხოლო ლიტერატურას განსაზღვრავდა როგორც „რეკონსტრუირებულ მითოლოგიას“ (Frye 1963: 38).

ფაქტობრივად, არ არსებობს საყოველთაოდ მისაღები დიფერენცირებული ტერმინოლოგია იმისათვის, რომ მითის ორი ფუნდამენტური მნიშვნელობა არა მარტო შინაარსობრივ, არამედ ტერმინოლოგიურ დონეზე განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: პირველია ადამიანის ქცევის პრიმიტიული ან ტიპური, მარადგანმეორებადი მოდელი, რომელიც ლიტერატურაშიც გვხვდება და ცხოვრებაშიც, ხოლო მეორეა უფრო სპეციფიკური ფორმა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ კულტურას, გვიხატავს გარკვეულ პერსონაჟებსა და გარემოს, რაც ჩვენ უპირატესად ლიტერატურის საშუალებით გადმოგვცემა.

ჯონ უაიტი ერთ რომელიმე კონკრეტულ საზოგადოებასთან დაკავშირებული მითების ერთობლიობის აღსანიშნად უპირატესობას ანიჭებს ტერმინ „მითოლოგიას“, ხოლო „არქეტიპს“ იყენებს იმ უფრო ზოგადი შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც ეგზომ ხშირად მიეწერება ტერმინ „მითს“ (White 1971: 38). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლევარი „მითის“ ორი - ვიწრო და ფართო - მნიშვნელობის დიფერენცირებისათვის იყენებს ტერმინებს „მითოლოგია“ და „არქეტიპი“ ანუ, მისთვის, გარკვეულწილად, „არქეტიპი“ „მითის“ სინონიმია. კერძოდ, ორივე აღნიშნავს დროითი ციკლების განმეორებად მოდელებსა და უნივერსალურ რიტუალურ პროცესებს. საინტერესოა, რომ როცა მკვლევარი ტერმინ „მითს“ არტიკლით იყენებს, იგი „არქეტიპს“ გულისხმობს, ხოლო ამ ტერმინის უარტიკლოდ გამოყენებისას - კონკრეტულ მითებს (White 1971: 38). იგი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯნავს კონკრეტულ მითებსა და არქეტიპებს როგორც აბსტრაქციებს.

ტერმინი „მითის“ ბუნდოვანება მე-20 საუკუნეში წარმოიშვა „მითისაკენ მიბრუნების“ პარალელურად. მე-19 საუკუნემდე ინგლისურ და ფრანგულ ენებში ინდივიდუალური მითების აღსანიშნად გამოიყენებოდა სიტყვა „fable“. კარლ კერენი აღნიშნავს, რომ გერმანული სიტყვა „Mythos“ შედარებით ახალი შექმნილია,¹ ან უფრო ზუსტად, ეს ძველი სიტყვაა, რომლის გაცოცხლებაც თანამედროვე მწერლებმა გადაწყვიტეს. გერმანულ წყაროებში ასევე გვხვდება სიტყვა „Mythe“; ბროკჰაუსის ლექსიკონში ფიქსირდება მხოლოდ სიტყვა „Mythos“, რამაც შესაძლოა განაპირობა

¹ ზოგიერთი მწერალი, მათ შორის თომას მანი, უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „Mythus“.

ის ფაქტი, რომ “Mythe”-ს გამოყენება თანამედროვე გერმანულში ცუდი სტილის ნიშნად ითვლება. უაიტის აზრით, განსხვავება “Mythe”-ს, მარტივ ფორმას, და “Mythus”-ს, მის ინდივიდუალურ განსხვავებას, შორის იგივეა, რაც კონტრასტი არქექტიპებსა და მითებს შორის. გერმანულ ენაში არქექტიპების ლიტერატურულ ექვივალენტად ასევე გამოიყენება ტერმინი “Einfache Formen”.

მიუხედავად იმისა, რომ ნორთოპ ფრაი “mythos”-ს და “myth”-ს კონტრასტულ ტერმინებად იყენებს, თანამედროვე ინგლისურ ენაში ეს კონტრასტი მკვეთრად გამოკვეთილი არ არის. ნორთოპ ფრაის კვალობაზე, თემურ კობახიძე აუცილებლად მიიჩნევს ორ ტერმინს და, აქედან გამომდინარე, ორ მოვლენას - „მითოსსა“ და „მითს“ (ან „მითოლოგიას“) შორის ზღვარის გავლენას. რუსულისაგან განსხვავებით, სადაც ეს ორი ცნება ერთი სიტყვით აღინიშნება, ქართული ენა საშუალებას იძლევა, რომ „მითი“ და „მითოსი“ არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ ტერმინოლოგიურადაც განვასხვავოთ. ბერძნული სიტყვის ტრანსლიტერაცია, ტერმინი “Mythos” ხშირად გვხვდება ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაშიც, სადაც ის აგრეთვე „მითისაგან“ (“Myth”) განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. როდესაც მითს ან მითოლოგიას ვახსენებთ, ვგულისხმობთ ადრეული ისტორიული ეპოქების ადამიანთა მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერ სიუჟეტებს, რომლებშიც აისახა მათი ფსიქოლოგიური სამყარო და რომლებიც თავად აისახნენ უძველეს (ბერძნულ-რომაულ, ბიბლიურ, შუმერულ, ინდუისტურ, ბუდისტურ, სკანდინავიურ და სხვა) ლიტერატურულ ძეგლებსა და წყაროებში. არსებითად, სიტყვა „მითოსის“ საშუალებით აღინიშნება მითოლოგიური სიუჟეტი, რომელიც კონკრეტული რეალიზაციის გარეშე მხოლოდ შესაძლებლობის (სქემის, „თარგის“, „ყალიბის“) სახით არსებობს ადამიანის ფსიქიკაში. ფაქტობრივად, უძველესი მითოლოგია სხვა არაფერია, თუ არა მითოსურ სქემათა სიუჟეტური ხორცშესხმის ისტორიულად ყველაზე ადრეული, არქაული ფორმა. ლიტერატურული კვლევის საგანს სწორედ „მითოსი“ წარმოადგენს და არა „მითოლოგია“ (კობახიძე 1991: 39).

ზემოაღნიშნულ ორ ტერმინსა და ცნებას შორის განსხვავებას სხვა მკვლევრებიც უსვამენ ხაზს. მაგალითად, რიჩარდ ჩეიზი აკრიტიკებს მკვლევარებს, რომლებსაც ლექსი მითოლოგიურად მიაჩნიათ, თუ იგი იყენებს პირველყოფილ მითოლოგიას. რასაკვირველია, ინგლისურ პოეზიაში ხშირად გვხვდება ბერძნული პანთეონის ღმერთები, მაგრამ გულუბრყვილობაა ლექსი მითოლოგიურად მივიჩნიოთ მხოლოდ იმის გამო, რომ მასში ზევსი ან დაფნეა ნახსენები (Chase 1949: 112). ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს იან ალერიც, რომელსაც მიაჩნია, რომ მე-18 საუკუნის პოეზიაშიც კი უხვად გვხვდება მითოლოგიური

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

ფიგურები და სახეები, ღმერთები და ქალღმერთები, თუმცა მთელ ამ მითოლოგიურ ორნამენტებს „მითოსურობისა“ არაფერი სცხია (Aler 1963: 189). ფაქტობრივად, მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი ტიპის პოეზიას: ლექსებს, რომლებშიც გამოყენებულია მითოლოგია, და „მითოლოგიურ“ ლექსებს; შემდეგ იგი ერთმანეთისაგან განარჩევს „ძველ“ და „ახალ“ მითებს; დაბოლოს, ასკვნის, რომ „მითოლოგიური ორნამენტების“ გამოყენება სულაც არ ნიშნავს, რომ ნაწარმოები „მითოსურია“.

იუსტის მანდევინ უეტენჰოლ ტილიარი ერთგან აღნიშნავს, რომ სიტყვები „მითი“, „მითოსური“, „მითოლოგია“ და „მითოლოგიური“ იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ ისინი გაცვდა, ხოლო ის მნიშვნელობები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ, წარმოუდგენლად მრავალფეროვანი გახდა. ტილიარი ამის მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს ამ სიტყვების სინონიმები (Tillyard 1962: 11). ტილიარის ამ დასკვნას არ ეთანხმება ჯონ უაიტი, რომლის აზრით, პრობლემა ისაა, რომ ყველა მათგანი წარმოდგება არსებითი სახელიდან „მითი“ („myth“), რაც ამ უკანასკნელთან მათი შედარების საფუძველს უფრო იძლევა, ვიდრე შეპირისპირების. სწორედ ამიტომ, კონტრასტის უფრო გამოსაკვეთად უაიტი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „არქეტიპი“, ვინაიდან მას ყურადღება გადააქვს კატეგორიზაციის იმ არარელიგიურ სისტემაზე, რომელსაც მითი წარმოადგენს (White 1971: 41).

ლიტერატურულ კრიტიკაში ტერმინ „არქეტიპს“ დაახლოებით ასეთივე კონოტაციით იყენებს მოდ ბოდკინი. თავისი ნაშრომის *არქეტიპული მოდელები პოეზიაში* შესავალში იგი აღიარებს, რომ მისი კვლევა იუნგის გავლენას განიცდის. ბოდკინი არქეტიპებს აღწერს როგორც გარკვეული ფორმის მქონე თემებს, რომლებიც, ეპოქიდან ეპოქამდე ვარიაციების მიუხედავად, შეესატყვისება ადამიანთა გრძნობების განმეორებად მოდელებსა თუ კონფიგურაციებს. ვიზედაც? (Bodkin 1968: 4).

ბოდკინი ამყარებს კონტრასტს მითოლოგიასა და არქეტიპების ზედროულ მოდელებს შორის, რომლებსაც ეძღვნება კიდევ მისი ნაშრომი. როცა იგი მიუთითებს „პრომეთესა და ფაუსტის ფიგურებზე, რომლებსაც სწყურიათ გამოცდილების შემენა, თავგადასავალი, ცოდნა და ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს მიღმა გაღწევა“ (Bodkin 1968: 192), რასაკვირველია, იგი ეხება ორ კონკრეტულ მითოლოგიურ ფიგურას, თუმცა სინამდვილეში ის ზოგადი არქეტიპები უფრო აინტერესებს, რომლებსაც ისინი განასახიერებენ. თავის დროზე იუნგს იგივე მიდგომა ჰქონდა ჯეიმზ ჯოისის *ულისეს* ინტერპრეტაციისას: „იგრძნობა არქეტიპული ფონი“, წერს იგი. „დედალოსის და ბლუმის უკან სულიერი ადამიანის და სენსუალური ადამიანის მარადიული ფიგურები დგანან“

(Jung 1934: 156). ამგვარი არქეტიპული ფონის დასაანახად სულაც არაა აუცილებელი, პერსონაჟები მითოლოგიური მოტივების მოშველიებით იყოს დახატული; ეს მოტივები უბრალოდ ხაზგასმით გამოკვეთენ მათ.

ტერმინ „არქეტიპის“ გამოყენება ლიტერატურულ კრიტიკაში გაცილებით ნაკლებ ბუნდოვანებას იწვევს, ვიდრე - „მითისა“, იმის მიუხედავად მსჯელობა „მითოლოგიურ“ ნაწარმოების არქეტიპებს/არქეტიპულ მოდელებს ეხება, თუ მათ არსებობას მთელს ლიტერატურაში. საზოგადოდ, კონკრეტული მითისა თუ სიტუაციისაგან განსხვავებით, არქეტიპის ცნება ერთგვარი აბსტრაქციაა. მითი, იუნგის მიხედვით, არქეტიპის გამოხატულებაა (Jung 1954: 6). მითებსა და არქეტიპებს შორის განსხვავებას საინტერესოდ აყალიბებს ნორთოპ ფრაი კრიტიკის ანატომიისათვის დართულ ლექსიკონ-ცნობარში: „არქეტიპი: სიმბოლო, ჩვეულებრივ სახე/ხატი, რომელიც საკმარისად ხშირად მეორდება ლიტერატურაში იმისათვის, რომ ადამიანმა იგი აღიაროს თავისი ლიტერატურული გამოცდილების, როგორც მთლიანობის, ელემენტად; მითი: ნარატივი, სადაც ზოგიერთი პერსონაჟი ზეადამიანური არსებაა, რომელიც ისეთ რამეებს სჩადის, რაც მხოლოდ გამოგონილ ამბებში ხდება; აქედან - კონვენციური ან სტილიზებული ნარატივი, რომელიც მეტ-ნაკლებად დაუჯერებელია და სრულად არ ადაპტირდება „რეალიზმთან“ (Frye 1963: 365).¹ ამრიგად, ფრაი თავისი დეფინიციებით აღიარებს მითის ორი დონის ერთმანეთისაგან გამორჩევის აუცილებლობას, თუმცა ნაკლებად დამაჯერებელია მოსაზრება, რომ არქეტიპები ვინმეს ლიტერატურულ გამოცდილებაზე შეიძლება იყოს მიჯაჭვული.

რა თქმა უნდა, გარკვეულ ბუნდოვანებას ტერმინი „არქეტიპიც“ იწვევს. ზოგჯერ იგი გამოიყენება პირველყოფილი მითის, ანუ მითის პროტოტიპის აღსანიშნად. შესაბამისად, მითის უმაღლეს თვისებად, რომელიც მის საკრალიზაციას ახდენს, მისი სიმკვლე განიხილება: რაც უფრო ძველია მითის ვერსია, მით უფრო წმინდაა ფორმა - ასეთია ფორმულა. მითოლოგიურ გმირზე მსჯელობისას უილიამ ბედელ სტენფორდი აღნიშნავს, რომ მისი, როგორც ლიტერატურული თემის, ევოლუცია დამოკიდებულია მის თავდაპირველ/განმსაზღვრელ პორტრეტზე (Stanford

¹ ლექსიკონ-ცნობარი ასევე შეიცავს ტერმინ „მითოსის“ დეფინიციას: „მითოსი: (1) ლიტერატურული ნაწარმოების ნარატივი, რომელიც განიხილება როგორც სიტყვების გრამატიკა ან წყობა (ლიტერალური ნარატივი), სიუჟეტი ან „მსჯელობა“ ('argument') (აღწერითი ნარატივი), მოქმედების მეორადი იმიტაცია (ფორმალური ნარატივი), განმეორებადი მოქმედების ან რიტუალის იმიტაცია (არქეტიპული ნარატივი), ან ყოვლისშემძლე ღმერთის ან ადამიანური საზოგადოების მოქმედების იმიტაცია (ანაგოგიური ნარატივი. (2) ოთხი არქეტიპული ნარატივი, რომლებიც კლასიფიცირდებიან როგორც კომიკური, რომანტიკული ტრაგიკული და ირონიული. იხ. Frye 1963: 366f). ნაშრომში *Fables of Identity* მითის ცნება გამარტივებული ჩანს და განმარტებულია როგორც „მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს“ (Frye 1963: 25).

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

1963: 5). იგი სწორედ ამ აზრით იყენებს ტერმინ „არქეტიპს“ და როცა „არქეტიპულ ულისეს“ (Stanford 1963: 6) ახსენებს, უშუალოდ ჰომეროსის ოდისეოსს გულისხმობს. თუმცა თავად მითის ღიაობა ეწინააღმდეგება „განმსაზღვრელი პორტრეტის“ კონცეფციას. არქეტიპის, როგორც პირველადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმის, გაგება უფრო მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ლიტერატურული კრიტიკის გარეთ, სხვა დარგებში, ვთქვათ, ფსიქოლოგიაში, სადაც იგი განისაზღვრება როგორც „ორიგინალი/დედანი, რომლის კოპირება ხდება“. თუმცა ზოგიერთ დარგში ამ კონცეფციამ მკვლევარი შეიძლება შეცდომაშიც შეიყვანოს, ვინაიდან იგი დასაშვებად მიიჩნევს არქეტიპის არსებობას ერთ მოცემულ ცივილიზაციაში მაშინ, როცა არქეტიპი აბსტრაქციად რჩება. არცერთ კონკრეტულ მითს არ შეუძლია წარმოგვიდგინოს თავად არქეტიპი, რადგან იგი აღნიშნავს მთელი რიგი პარადიგმული მითებისათვის საერთო ნიშან-თვისებების კონფიგურაციას თუ მოდელს. არქეტიპი, რომელიც შორსაა ისტორიულობისაგან, ანთროპოლოგიაში, ლიტერატურულ კრიტიკასა და ანალიტიკური ფსიქოლოგიის გარკვეულ სკოლებში აღნიშნავს რაღაც ზედროულს, ერთგვარ სამეცნიერო კატეგორიას, რომელიც შედარებითი მითოლოგიიდან წარმოიშვა. კონკრეტული მითები არქეტიპების გარკვეულ კლასს მიეკუთვნებიან მთელი რიგი საერთო დენომინატორების გამო. არქეტიპის დადგენის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მისი ელემენტები ბევრ სხვადასხვა მითსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებში აღმოვაჩინოთ.

ამ აზრით „არქეტიპი“ ახლოსაა იმასთან, რასაც ჯოზეფ კემპბელი „მონომითს“ უწოდებს. კემპბელი აღნიშნავს, რომ მან ეს ტერმინი აიღო ჯეიმზ ჯოისის *ფინეგანის ქელეხიდან* (Campbell 2008: 30). ჯოისთან ამ ტერმინის მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანია: „And their bivouac! And his monomyth! Ah ho! Say no more about it!“ (Joyce 1939: 581). ფაქტობრივად, კემპბელმა ჯოისის ნეოლოგიზმი ისესხა.

თითქმის „არქეტიპის“ სინონიმია ასევე „მითოლოგემა“, ტერმინი, რომელსაც იყენებენ იუნგი და კერენი. ორივე ტერმინი არქეტიპული ნიშან-თვისებების გარკვეულ კონფიგურაციას აღნიშნავს.

როგორც ვხედავთ, მითოსური ნაწარმოების აღსაწერად აუცილებელია ტერმინოლოგიის დიფერენცირება. ამ თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული შეცდომაა არქეტიპის ჩანაცვლება კონკრეტული მითით. კრიტიკის ანატომიაში ფრაი აღნიშნავს, რომ მთელი ლიტერატურისათვის საერთოა „ძიების მითი“ („quest myth“) (Frye 1957: 215); უფრო მეტიც, იგი ამტკიცებს, რომ კრიტიკოსის საქმიანობის ნაწილია აჩვენოს, თუ როგორ წარმოიშვა ყველა ლიტერატურული ჟანრი ძიების მითისაგან (Frye 1963). ანუ, ფაქტობრივად, ფრაი კონკრეტული მითის დასახელებით ზოგადი არქეტიპის ჰიპოსტაზირებას ახდენს. იგივე შეცდომას უშვებს არაერთი

კრიტიკოსი, როცა ფრანკის გავლენით ძიების საყოვეთაო მოტივს ხან ორფევსის მიერ ევრიდიკეს ძიებად წარმოაჩენს, ხან აჰასფერის მარადიულ ხეტილადა და ხანაც ახალ გრაალის ძიებად ანუ, სხვაგვარად, საქმე გვაქვს არქეტიპისა და კონკრეტული მითის აღრევასთან.

არქეტიპები, ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკის თანდაყოლილი პირველსაწყისები, თაობიდან თაობას კოლექტიური არაცნობიერის საშუალებით გადაეცემა. იუნგის მიხედვით, კოლექტიური არაცნობიერი ტვინის თანდაყოლილი/მემკვიდრეობით მიღებული სტრუქტურა და არაცნობიერის ის ფორმაა, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის. იგი განსხვავდება პერსონალური არაცნობიერისაგან, რომელიც ინდივიდის პირადი გამოცდილებისაგან წარმოიქმნება. იუნგის მიხედვით, სწორედ კოლექტიური არაცნობიერი შეიცავს ინსტინქტებსა და არქეტიპებს,¹ ანუ უნივერსალურ პირველად ხატებსა და იდეებს. ისინი არაცნობიერის უღრმეს შრეებში „ბინადრობენ“ და ფუნქციონირებენ, განსაკუთრებით იმ ფილოგენეტიკურ ქვეშრეში, რომელსაც იუნგი კოლექტიურ არაცნობიერს უწოდებს. ამ ლოკალიზაციით აიხსნება დიდწილად მათი „უცნაურობა“: მათ შემოაქვთ ჩვენს ეფემერულ ცნობიერებაში უცხო, უცნობი ფსიქიკური ცხოვრება, რომელიც შორეულ წარსულს ეკუთვნის. ეს ჩვენი უცნობი წინაპრების გონია, მათი აზროვნებისა და გრძნობის წესი, ცხოვრებისა და სამყაროს, ადამიანების და ღმერთების მათეული აღქმის ფორმა. ამარქაული ფენების არსებობაა იმის წყარო, რომ ადამიანს სჯერა რეინკარნაციის და ახსოვს „წინა გამოცდილებები“. სწორედ ისევე, როგორც ადამიანის სხეული, კოლექტიური არაცნობიერიც მისი ფილოგენეტიკური ისტორიის მუზეუმი (Jung 1959: 286-287).

არაცნობიერის ასეთმა უნივერსალურმა ინტერპრეტაციამ შესაძლებელი გახადა მოდერნისტულ რომანში პარალელის გავლება თანამედროვე ადამიანის „ცნობიერების ნაკადსა“ და რეფლექსიამდელ მითოლოგიურ ცნობიერებას შორის, რაც, ბუნებრივია, ხშირად პარადიულ ეფექტს ქმნის, მაგრამ ეს სულაც არ იყო მოდერნისტების მთავარი მიზანი - პარადია და ირონია აქ მხოლოდ გარდაუვალი საფასურია რომანის ამგვარი მოდელირებისათვის. მოდერნისტებისათვის მთავარია არა იმდენად „თანამედროვე“ ცხოვრების გამოსახვა (ეს მხოლოდ ცხოვრების გარდაუვალი კონკრეტული ფორმაა), რამდენადაც ყოფიერების

¹ არქეტიპები არსებობენ სამყაროში, რომელიც ადამიანის ცხოვრების ქრონოლოგიის მიღმა და კოლექტიური არაცნობიერის საშუალებით ეპოქიდან ეპოქაში ვარირებენ. იმ არქეტიპებს შორის, რომლებსაც იუნგი გამოჰყოფს, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ანიმუსი (animus) - მდედრის ფსიქიკაში არსებული მამრობითი საწყისი და ანიმა (anima) - მამრის ფსიქიკაში მოცემული მდედრობითი საწყისი. იუნგი არქეტიპს ასევე განმარტავს როგორც იმ ანაბეჭდს, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივი წარსულის განმავლობაში მუდმივად განმეორებადმა სიტუაციებმა დატოვეს ადამიანის ფსიქეზე. იხ. Lu, Kevin. "Jung, History and His Approach to the Psyche". *Journal of Jungian Scholarly Studies* 8.9, 2012.

ნ. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

მეტაფიზიკური საწყისების გამოვლენა. ისინი ცდილობდნენ თანამედროვე ცხოვრების დინამიკა (და შესაბამისად ისტორიულობაც) სტატიკაში (შესაბამისად მარადისობაში) მოექციათ (ცხვედიანი 2006: 74-75).

რომანის თხრობის სტრუქტურისადმი ამგვარ მიდგომას სწორედ არქეტიპისა და კოლექტიური არაცნობიერის იუნგისეული კონცეპტები უდევსაფუძვლად-არქეტიპისთეორიაერთგვარტრამპლინადგვევლინება თანამედროვე ადამიანის კრიზისული, გაორებული ცნობიერებისა და პირველყოფილი მითოსური გამოცდილების შედარებისას. არქეტიპები ექსტერნალურად კი არ არიან „თავსმოხვეულნი“, „მორგებულნი“, „მისადაგებულნი“ პერსონაჟებზე კულტურის მიერ, არამედ თითოეული ინდივიდის შინაგანი სამყაროდან, მათი ფსიქიკიდან წარმოიშობიან და მკითხველს მოაგონებენ, თუ რა აქვთ საერთო საუკუნეებით ერთმანეთისაგან დაშორებულ ადამიანებს. მითოლოგიური სახეები და პარალელები ხაზს უსვამს ერთი და იგივე გადაუჭრელი კოლიზიების დაუსრულებელ განმეორებას, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების, თავად მსოფლიო ისტორიული პროცესის მეტაფიზიკურ წრებრუნვას.

ლიტერატურა

- კაკაურიძე, ნ. 2017. „ლიტერატურის რემითოლოგიზაციის ზოგიერთი თეორიული საკითხისათვის“. *ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე*, N1(9). ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კობახიძე, თ. 2015. *ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა*. თბილისი: უნივერსალი.
- კობახიძე, თ. 1991. *ტ. ს. ელიოტი: პოეზია და მითოსი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ცხვედიანი, ი. 2006. *ულისეს მითოპოეტიკა*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Aler, J. 1963. *Mythical Consciousness in Modern German Poetry*. London: Butterworths Scientific Publications.
- Blumenberg, H. 2021. *Arbeit am Mythos*. Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag.
- Blotner, J. 1956. *Mythic Patterns in o the Lighthouse*. PMLA, Volume LXXI, No. 4, 1956.
- Bodkin, M. 1968. *Archetypal Patterns in Poetry: Psychological Studies of Imagination*. Oxford: Oxford University Press.
- Campbell, J. 2008. *Hero with a Thousand Faces*. Novato, California: New World Library.

- Campbell, J. 1990. *Transformations of Myth Through Time*. NY: Harper and Row.
- Campbell, J. 1994. *Mythic Worlds, Modern Worlds: On the Art of James Joyce*. Harper Collins Publishers.
- Cassirer, E. 1975. *The Philosophy of Symbolic Forms: Mythical Thought*. Vol. 2. New Haven & London: Yale University Press.
- Chase, R. 1949. *In Quest for Myth*. Louisiana State University Press.
- Douglass, W. W. 1953. "The Meanings of "Myth" in Modern Criticism". *Modern Philology*, I, 1953.
- Douglass, W. W. 1966. "The Meanings of "Myth" in Modern Criticism" In J. B. Vickery (ed.). *Myth and Literature*. Lincoln: University of Nebraska Press.
- Eliade, M. 1964. *Cosmos and History: The Myth of Eternal Return*. Transl. New York: Willard R. Harper & Brothers, Trask.
- Eliade, M. 1977. *The Sacred and the Profane: The Nature of Religion*. Transl. Willard R. Harcourt, Trask Orlando.
- Frye, N. 1963. *Fables of Identity: Studies in Poetic Mythology*. San Diego: Harcourt, Brace, Jovanovich.
- Frye, N. 1957. *Anatomy of Criticism*. Princeton: Atheneum, 1957.
- Herd, E. W. 1969. "Myth Criticism: Limitations and Possibilities". *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 2, No. 3, Spring 1969.
- Joyce, Jams. 1939. *Finnegans Wake*. New York.
- Kobakhidze, T. 1998. *Myth and the Literary Aesthetics of Modernism*. Tbilisi: State University of Tbilisi.
- Jung, C. G. 1959. "Conscious, Unconscious, and Individuation". *Collected Works*. Vol. 9.I, 1959.
- Jung, C. G. 1934. *Ulysses: Wirklichkeit der Seele: Anwendungen und Fortschritte der neueren Psychologie*. Zurich.
- Jung, C. G. 1954. *Von den Wurzeln des Bewusstseins*. Zurich: Rascher.
- Lewis, C. S. 1961. *An Experiment in Criticism*. Chapter Five: "On Myth". Cambridge: Cambridge University Press.
- Lu, K. 2012. [Jung, History and His Approach to the Psyche](#). *Journal of Jungian Scholarly Studies*, 8.9, 2012.
- Matthews, H. 1968. *The Hard Journey: The Myth of Man's Rebirth*. London: Chatto & Windus.
- Ricoeur 1967: Ricoeur, P. *The symbolism of Evil*. New York: Transl. E. Buchanan Harper & Row.
- Ricoeur, P. & Kearny, R. 1978. *Myth as the bearer of possible worlds*. *The Crane Bag* 2(1&2), 1978.
- Ricoeur, P. 1974. *Metaphor and the main Problem of Hermeneutics*. *New Literary History* 6 (1), 1974.

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

- Rosenfeld, C. 1967. *Paradise of Snakes: An Archetypal Analysis of Conrad's Political Novels*. Chicago: University of Chicago Press.
- Stanford, W. B. 1963. *The Ulysses Theme*. Basil Blackwell.
- Tanner, T. A 1970. Review of Claire Rosenfeld's *Paradise of Snakes: An Archetypal Analysis of Conrad's Political Novels*". *Modern Language Review*, LXV, 1970.
- Tillyard, E. M. W. 1962. *Myth and the English Mind*. New York: Collier Books.
- Warren, A, Welleck R. 1949. *Theory of Literature*. New York: Harcourt, Brace and Company.
- Wellek, R. 1963. *Concepts of Criticism*. Yale University Press.
- White, J. 1971. *Mythology in the Modern Novel: A Study of Prefigurative Techniques*. Princeton University Press.
- Лотман, Ю. М. 1991. *Литература и мифы*. Москва.

სტატია იბეჭდება აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში.

Literature and Literary Theory

Remythification: Myth, Archetype and the Collective Unconscious

Nanuli Kakauridze

nanuli.kakauridze@atsu.edu.ge

Irakli Tskhvediani

irakli.tskhvediani1@atsu.edu.ge

Lia Nozadze

lia.nozadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

The purpose of the present paper is to explore theoretical and methodological problems related to the study of modernist mythopoeia. We have tried to analyze the meanings of “myth” in literary criticism and demonstrate the complex ways in which mythos, archetype and collective unconscious are interconnected with one another.

Keywords: demythification, remythification, mythopoeia, archetype, collective unconscious.

The purpose of the present paper is to explore historical, philosophical and cultural premises leading up to the need for remythification or neo-mythologism in modernist literature and provide deep and complex insight into the varieties of modernist mythopoeia or the uses of myth as a means of universalizing values and as a structural organizing principle of literary form, identifying general/universal characteristics of this controversial literary phenomenon.

Attempting to demonstrate the ways in which modernist novelists use mythos, the article addresses major theoretical and methodological problems related to the study of modernist mythopoeia and sheds light on the complexities of the literary aesthetics of modernism.

It would be impracticable to undertake a comprehensive survey of the modernist mythological works, nor indeed would any such catalogue raisonné be a feasible or worthwhile undertaking while the more fundamental questions of how the mythological elements in literary texts can be unmistakably recognized, how they operate and in what context they occur, remain unanswered. The article focuses both on the preliminary solution of theoretical and methodological problems.

Throughout its long way of development history of culture has always been related to mythological heritage. This relation gradually evolved towards demythification, reaching its culmination in the 18th century Enlightenment

6. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე

and the 19th century positivism. At the turn of the 20th century the process of demythification was replaced by the so-called remythification in European culture.

The first widespread form of mythification in the 20th century literature was individual poetic reinterpretation and/or transformation/modification of traditional mythological plots and images. Traditional mythological plots were either reinterpreted or transformed by individual authors. The modes of myth transformation vary from parody and travesty to creating an anti-myth.

In modernist neo-mythologism mythic archetypes are transformed into complex symbolic forms and images. Neo-mythologism gradually became the mainstream or dominant tendency of Western cultural consciousness/mentality.

The article covers a wide range of problems and issues: synchronic and diachronic aspects of the interrelations between literature and mythology; the processes of demythification and remythification and their interrelations; the problem of defining 'myth'/'mythos' as a term and a concept; theoretical and methodological problems related to the study of neo-mythologism; the essence of 'mythical method' and its functions in the modernist texts; modes of transformation of mythemes, mythic patterns, paradigms and archetypes in modernist experimental narratives; close interconnection between neo-mythologism and neo-psychologism or universal psychology of the subconscious.

The mentioned work was done with the support of Akaki Tsereteli State University within the framework of the university grant.